

შპს ელექტრონი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ელექტრონი“-ს („კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და აქციონერთა კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ფინანსური აღრიცხვის პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა დაამტკიცა 2018 წლის 9 ივლისს.

შპს ელექტრონის დირექტორი
მალხაზ გოგატიშვილი

დაუმოკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ელექტრონის დამფუძნებლებს

კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ელექტრონის (კომპანია) სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი მოსაზრებით, გარდა მოდიფიცირებული მოსაზრების საფუძველში აღწერილი საკითხისა, მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით და ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების ჩათვლით ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოდიფიცირებული მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2018 წლის 15 აპრილს და ამდენად, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მარაგების ფიზიკურ გადათვლას არ დავსწრებივართ. ჩვენ ვერ შევძელით 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფლობილი მარაგების რაოდენობაში ალტერნატიული საშუალებებით დარწმუნება. ვინაიდან მარაგების საწყისი ნაშთი ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა სრული შემოსავლების ანგარიშში ასახული წლის მოგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა სტანდარტების მიხედვით შემდგომში აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგების აუდიტზე“

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (პბეკ კოდექსი) შესაბამისად.

ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია და შესაფერისი ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა მიიჩნევს საჭიროდ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია

შეფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე.

ჩვენი მიზანია, გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლინდება არსებითი უზუსტობები ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლის მიერ წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- შევისწავლით აუდიტისთვის რელევანტურ შიდა კონტროლს რათა დავგეგმოთ აუდიტორული პროცედურები რომლებიც არის შესაფერისი კონკრეტულ გარემოებებთან, მაგრამ არა იმ მიზნით რომ გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო

მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

შპს ელექტრონის
სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ყველა თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	6	4 026 560	3 161 385
არამატერიალური აქტივები		11 674	4 289
საინვესტიციო ქონება	7	11 907 137	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		15 945 371	3 165 674
მიმდინარე აქტივები:			
მარაგები	8	8 673 116	9 140 857
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	9	356 410	164 246
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		-	2 951
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	10	387 268	184 663
ფული და ფულის ექვივალენტები	11	1 033 519	1 850 254
სულ მიმდინარე აქტივები		10 450 313	11 342 971
სულ აქტივები		26 395 684	14 508 645
აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები			
აქციონერთა კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი		2 010	2 010
გაუნაწილებელი მოგება		16 795 273	14 115 905
სულ აქციონერთა კაპიტალი		16 797 283	14 117 915
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხები	12	7 575 235	-
გადავადებული მოგების გადასახადი		-	62 034
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		7 575 235	62 034
მიმდინარე ვალდებულებები:			
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	13	924 577	106 022
მიღებული ავანსები	14	231 951	178 183
სხვა გადასახდელი დავალიანება		1 481	1 481
მოკლევადიანი სესხები	12	661 140	-
საგადასახადო დავალიანება		204 017	43 010
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2 023 166	328 696
სულ ვალდებულებები		9 598 401	390 730
სულ აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები		26 395 684	14 508 645

9-30 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები შეადგენს ამ ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ელექტრონის დირექტორი

მალხაზ გოგატიშვილი

შპს ელექტრონის

სპეციალური დანიშნულების მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ყველა თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წელი
მიმდინარე ოპერაციები		
შემოსავალი	15	21 579 691
რსო	16	(16 920 467)
მთლიანი მოგება		4 659 224
სხვა საოპერაციო ხარჯები		(68 926)
ადმინისტრაციული ხარჯები	17	(628 413)
საპროცენტო შემოსავალი		5 827
საპროცენტო ხარჯი	18	(262 087)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	19	(849 738)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა		(26 558)
მოგება გადასახადამდე		2 829 329
მოგების გადასახადი		(1 995)
წლის წმინდა მოგება მიმდინარე ოპერაციებიდან		2 827 334

9-30 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები შეადგენს ამ ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ელექტრონის დირექტორი

მალხაზ გოგატიშვილი

შპს ელექტრონის
სპეციალური დანიშნულების ნაღდი ფულის მოძრაობის ანგარიში
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ყველა თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წელი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის მოგება გადასახადებამდე		2 829 329
კორექტირება:		
მოგების გადასახადი		1 995
ცვეთა და ამორტიზაცია	6	47 146
ზარალი მარაგების ჩამოწერიდან		62 381
საპროცენტო ხარჯი	18	262 087
რეზერვების ამოტრიალება/დარიცხვა		53 141
ფინანსური ხარჯი წმინდა	19	849 738
ფულადი სახსრების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან		4 105 817
აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე		(444 958)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		405 360
მარაგების კლება/(ზრდა)		999 222
სავაჭრო და სხვა გადასახდელების ზრდა/(კლება)		(262 087)
გადახდილი პროცენტი		4 803 354
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ნაღდი ფული		
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითად საშუალებების შესაძენად გადახდილი თანხები	6	(12 809 564)
წმინდა ფულადი სახსრების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(12 809 564)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
შემოსავალი ნასესხები სახსრებიდან		7 943 760
ნასესხები სახსრების დაფარვა		(310 759)
გაცემული დივიდენდები		(210 000)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული		7 423 001
წმინდა (კლება)/ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში		(583 209)
საკუროს სხვაობის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ფულის ნაშთზე		(233 526)
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში		1 850 254
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს		1 033 519

9-30 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები შეადგენს ამ ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ელექტრონის დირექტორი

მალხაზ გოგატიშვილი _____

შპს ელექტრონის
 სპეციალური დანიშნულების კაპიტალში ცვლილებების ანგარიში
 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 ყველა თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 1 იანვარი 2017		2 010	14 115 905	14 117 915
წლის წმინდა მოგება		-	2 827 334	2 827 334
გაუნაწილებელი მოგების სხვა ცვლილება		-	62 034	62 034
გადახდილი დივიდენდები		-	(210 000)	(210 000)
ნაშთი 31 დეკემბერი 2017		2 010	16 795 273	16 797 283

9-30 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები შეადგენს ამ ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ელექტრონის დირექტორი

მალხაზ გოგატიშვილი

შპს ელექტრონის

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ყველა თანხა მოცემულია ლარში

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ელექტრონი (კომპანია), დაფუძნებულია რეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ 2004 წლის 23 დეკემბერს. კომპანია საქმიანობს საქართველოს ტერიტორიაზე. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო და საცალო ვაჭრობა იმპორტირებული ელექტრო საქონლით.

კომპანიის მისამართია დ. აღმაშენებლის ხეივანი 12-ე კმ., თბილისი, საქართველო.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მფლობელები იყვნენ ფიზიკური პირები შემდეგი წილობრივი მონაწილეობით:

მაღხაზ გოგატიშვილი 20%;

კობა გოგატიშვილი 20%;

კახაბერ სახამბერიძე 20%;

ხვიჩა ფორჩხიძე 40%;

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოყვანილია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის.

2.1 მომზადების საფუძვლები

ფასს-ის შესაბამისად სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეულ კრიტიკულ საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული მსჯელობების წარმართვას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც მსჯელობის ან კომპლექსურობის მაღალ ხარისხს შეიცავს, ასევე სფეროები, რომლებშიც სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოიცავს, მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებში ნაჩვენებ თანხებზე მოქმედი ფასს-ებში შეტანილი შესწორებები

მიმდინარე წელს მიღებულ იქნა შემდეგი ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები:

- შესწორება ბასს 7-ში “განმარტების ინიციატივა”;
- შესწორება ბასს 12-ში “არარეალიზებული ზარალის გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება”;
- ფასს წლიური გაუმჯობესების 2014-2016 ციკლი - შესწორება ფასს 12-ში.

ბუღალტრული აღრიცხვის მიღებული პოლიტიკა წინა ფინანსური წლის პოლიტიკის შესაბამისია. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ცვლილების გამოძევევი ახალი ან შესწორებული სტანდარტი არ გამოყენებულა.

შესწორებები ბასს 7 „განმარტების ინიციატივა“

კომპანიამ ეს შესწორებები პირველად მიმდინარე წელს გამოიყენა. შესწორებები კომპანიისგან მოითხოვს, ისეთი განმარტებები გააკეთოს წარმოდგენილი ინფორმაციის თაობაზე, რაც საშუალებას მისცემს სპეციალური

შპს ელექტრონის

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ყველა თანხა მოცემულია ლარში

დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს, სათანადოდ შეაფასონ ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებათა როგორც ფულადი, აგრეთვე არაფულადი ცვლილებები.

კომპანიაში ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებები მოიცავს ნასესხებ სახსრებს. შედარება კომპანიის ამ ერთეულების საწყის და საბოლოო ნაშთებს შორის მოცემულია მე-12 შენიშვნაში. შესწორებათა გარდამავალი მუხლების შესაბამისად, კომპანიამ წინა პერიოდის შესადარი ინფორმაცია არ განმარტა. შესწორების ამოქმედებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ უმოქმედია.

შესწორებები ბასს 12 “არარეალიზებული ზარალის გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება“

კომპანიამ ეს შესწორებები პირველად მიმდინარე წელს გამოიყენა. შესწორებები განმარტავს, თუ როგორ უნდა დაადგინოს კომპანიამ, ექნება თუ არა მომავალში საკმარისი დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართ შეუძლია გამოქვითვადი დროებითი სხვაობის გამოყენება.

ამ შესწორებათა ამოქმედებას კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე არ უმოქმედია, რადგან კომპანია უკვე აფასებს სამომავლო დასაბეგრი მოგების დონეს ამ შესწორებათა შესაბამისად.

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წწ. ციკლი

კომპანიამ მიმდინარე წელს პირველად გამოიყენა ფასს-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წლების ციკლში შესული შესწორება ფასს 12-ში. ამავე ციკლში შედის სხვა შესწორებები, რომელთა ამოქმედება ჯერ სავარაუდოდ არ არის და კომპანიას მათი გამოყენება ადრეულად არ დაუწყია (ქვემოთ იხილეთ ახალი და რედაქტირებული, ჯერ არამოქმედებული ფასს-ების სია).

ფასს 12-ის შესწორებები განმარტავს, რომ კომპანია არ არის ვალდებული, გასაყიდად განკუთვნილად კლასიფიცირებულ (ან ამგვარად კლასიფიცირებულ ჯგუფში შესულ) შვილობილ, დაკავშირებულ და ერთობლივ პირებში ფლობილი წილის შესახებ ფინანსური ინფორმაცია შეჯამებული სახით წარმოადგინოს. შესწორებები აზუსტებს, რომ ეს ერთადერთი შედეგია, რაც კომპანიას ამგვარი წილებისათვის ფასს 12-ში მოცემული განმარტებების ვალდებულებიდან ათავისუფლებს.

ამ შესწორებათა ამოქმედებას კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე არ უმოქმედია.

ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები

კომპანია არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები;
- ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან (და შესაბამისი განმარტებები);
- ფასს 16 - იჯარა;
- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები;
- ფასს 22 - სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება;
- ფასს 23 - მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება;
- შესწორებები ფასს 2 - იმ ტრანზაქციების კლასიფიკაცია და გაზომვა, რომელთა ანაზღაურება ხდება აქციების მეშვეობით;
- შესწორებები ფასს 10 და ბასს 28 - აქტივების გაყიდვა ან დაბანდება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში;
- შესწორებები ბასს 40 - საინვესტიციო ქონების გადაცემა;
- შესწორებები ფასს 4 - ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები~ გამოყენება ფასს 4 “სადაზღვევო კონტრაქტებთან” ერთად;
- შესწორებები ფასს 9 - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით;
- ბასს 28 - მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში არსებული გრძელვადიანი წილები;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წწ. ციკლი;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი.

შპს ელექტრონის

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ყველა თანხა მოცემულია ლარში

1. ძალაშია 2018 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
2. ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
3. ძალაშია 2021 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
4. ძალაშია ჯერ არგამოცხადებული თარიღიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

კომპანიის ხელმძღვანელობის აზრით, ამ შესწორებების გამოყენება მომავალში არსებით ზეგავლენას არ მოახდენს კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2.2 ვალუტა

ა) სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საწარმოს სამუშაო ვალუტას წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა რომელშიც ის საქმიანობს, კერძოდ ქართულ ლარი. სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში (GEL), რომელიც არის კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა.

ბ) ოპერაციები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციების გადაყვანა სამუშაო ვალუტაში ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსის გამოყენებით ან გადახდის დღისთვის არსებული კურსის გამოყენებით ან გადაფასების დღის კურსით თუ პუნქტი გადაფასებულია. ასეთი ოპერაციებისგან და წლის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაყვანისგან წარმოქმნილი საკურსო სხვაობით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მოგება ზარალის უწყისში. სესხებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი მოგება ზარალის უწყისში წარმოდგენილია ფინანსური შემოსავლების და ხარჯების ნაწილში. ყველა სხვა სახის საკურსო სხვაობით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი წარმოდგენილი „სხვა შემოსულობა/(ზარალის) ნაწილში“.

კომპანიამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა შემდეგი გაცვლითი კურსები, რომლებიც წლის ბოლოს დაფიქსირდა:

	2017 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 1 იანვარი
ლარი/1 აშშ დოლარი	2.5922	2.6468
ლარი/1 ევრო	3.1044	2.7940
ლარი/100 რუსული რუბლი	4.4935	2.2999

2.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ხარჯი, თუ ამის აუცილებლობა არსებობს.

შპს ელექტრონის

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ყველა თანხა მოცემულია ლარში

ძირითადი საშუალებების ერთეულის ისტორიული ღირებულება მოიცავს (ა) შესასყიდ ფასს, მათ შორის, იმპორტის მოსაკრებელსა და არაანაზღაურებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტებისა და ფასდათმობების გამოკლებით; (ბ) ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ გაიწევა ერთეულის საჭირო ადგილას გადასატანად და ხელმძღვანელობის მიერ გათვალისწინებულ სამუშაო რეჟიმში მოსაყვანად; (გ) დემონტაჟისა და გადატანის, აგრეთვე მისი ადგილმდებარეობის აღდგენის სავარაუდო ხარჯებს, აგრეთვე (დ) ვალდებულებას, რომელსაც კომპანია გასწევს ერთეულის შესყიდვისას.

შემდგომში კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს ნაწილების გამოცვლისა და გაუმჯობესების მნიშვნელოვან დანახარჯებს, რომელთა მიზანია აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადის გახანგრძლივება ან მისგან მიღებული შემოსავლის გაზრდა. რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები, რომლებიც კაპიტალიზაციის ამ კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებს, გაწევისას აღირიცხება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

შემდგომი დანახარჯები, შესაბამისობის მიხედვით, ან ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღიარებულია როგორც ცალკე აქტივი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანია მომავალში მოელის ამ აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მიღებას და მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. ჩანაცვლებული ნაწილის საბალანსო ღირებულებას ერიცხება ცვეთა. სხვა ყველა რემონტისა და მომსახურების დანახარჯის აღიარება ხდება შესაბამისი პერიოდის ხარჯად მოგება-ზარალის უწყისში.

მიწას და აქტივებს, რომლებიც ჯერ არ შესულან ექსპლუატაციაში ცვეთა არ ერიცხებათ. ძირითადი საშუალებების ცვეთა იანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით, რათა მოხდეს მათი ღირებულების გადანაწილება აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

შენობა-ნაგებობები	20-დან 25 წლამდე
მანქანა დანადგარები	5-დან 10 წლამდე
ოფისის აღჭურვილობა	3-დან 5 წლამდე
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-დან 10 წლამდე
არამატერიალური აქტივები	5-დან 10 წლამდე
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5-დან 10 წლამდე

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს შეფასებით თანხას, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან, (გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით), თუ აქტივს უკვე ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს მოსალოდნელი ასაკი და მდგომარეობა. აქტივის ნარჩენი ღირებულება ნულია, თუ კომპანია აპირებს მის გამოყენებას აქტივის მთელი ფიზიკური ვადის განმავლობაში. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა გადაისინჯება და იცვლება (თუ საჭიროება არის) ყოველწლიურად ბალანსის მომზადების თარიღისთვის.

თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას, დაუყოვნებლივ ხდება აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება ანაზღაურებად ღირებულებამდე.

აქტივის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის და ზარალის განსაზღვრა ხდება მიღებული კომპენსაციისა და საბალანსო ღირებულების შედარებით და ჯამური თანხა აღირიცხება მოგება-ზარალის უწყისის სხვა მოგება/(ზარალის) ნაწილში.

2.4 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის კომპანიის მფლობელობაში მყოფი ქონება, საიდანაც კომპანია იღებს საიჯარო შემოსავალს ან რომლის საშუალებითაც ზრდის კაპიტალს ან ორივე და რომელიც არ არის ჯგუფის მიერ

დაკავებული. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარებულია მისი ღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ხარჯი, თუ ამის აუცილებლობა არსებობს.

საინვესტიციო ქონების ჩამოწერა ხდება მისი რეალიზაციის შედეგად ან მაშინ, როცა საინვესტიციო ქონება მუდმივად გამოუყენებელია და მისგან მომავალი ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელი არ არის. ქონების ჩამოწერით მიღებული ნებისმიერი მოგება ან ზარალი (გამოითვლება როგორც სხვაობა წმინდა რეალიზაციასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შედის მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც მოხდა ქონების ჩამოწერა.

თუკი საინვესტიციო ქონებას დაიკავენ მფლობელი, ის რეკლასიფიცირდება როგორც ძირითადი საშუალება და რეკლასიფიცირების თარიღში მისი საბალანსო ღირებულება გახდება მისი ჩათვლილი ღირებულება საბუღალტრო მიზნებისთვის.

შემდგომი ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივების საბალანსო ღირებულებაზე მხოლოდ მაშინ, როდესაც ხარჯებთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოტანა კომპანიისთვის სავარაუდოა და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. ყველა სხვა შეკეთება-შენარჩუნების ღირებულება აღიარდება ხარჯებში განხორციელების დროს.

2.5 ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად: „მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებად, “დაფარვის ვადამდე ფლობილ” ინვესტიციებად „გასაყიდად არსებულ” ფინანსურ აქტივებად და „სესხებად და მოთხოვნებად”. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების სპეციფიკასა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

კომპანიის ძირითად ფინანსურ აქტივებს წარმოადგენს ფული და ფულის ექვივალენტები, და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი ეფუძნება ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებას. მისი საშუალებით საპროცენტო ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების გადახდების (მათ შორის არის ყველა გადახდილი ან მიღებული საკომისიო და ქულა, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, ტრანზაქციის ხარჯებისა და სხვა პრემიუმებისა თუ ფასდათმობების განუყოფელ ნაწილს) დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან თუ ეს მართებულია, უფრო მოკლე ვადაში. შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ფული და ფულის ექვივალენტები.

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და მიმდინარე ანგარიშებს ბანკებში.

შპს ელექტრონის

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ყველა თანხა მოცემულია ლარში

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მომდევნო პერიოდებში იზომება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. მოკლევადიანი მოთხოვნები, რომელთაც პროცენტი არ ერიცხება, აღირიცხება ნომინალური ღირებულებით. ამოუღებელი თანხების სავარაუდო ოდენობის შესაბამისი ანარიცხები აღიარდება მოგება-ზარალში მაშინ, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. აღიარებული ანარიცხები იზომება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და საწყისი აღიარებისას მიღებული სავარაუდო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, როდესაც ეს უკანასკნელი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით არის დისკონტირებული.

ფინანსური აქტივების გაუფასურება.

ფინანსური აქტივების გაუფასურების საფუძვლის შეფასება ხდება ანგარიშგების თითოეული პერიოდის ბოლოსათვის. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, როდესაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ არსებობს იმის ობიექტური საფუძველი, რომ ერთი, ან რამდენიმე გარემოება გავლენას ახდენს ინვესტიციებიდან მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინებაზე.

ყველა სხვა ფინანსური აქტივის შემთხვევაში გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლები მოიცავს:

- გამომშვების ან კონტრაგენტის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს; ან
- ხელშეკრულების დარღვევას, რაც გულისხმობს პროცენტის, ან ძირითადი თანხის გადახდის უნარობას, ან თავის არიდებას; ან
- მსესხებლის გაკოტრების, ან ფინანსური რეორგანიზაციის ალბათობის გაჩენას; ან
- ფინანსური სირთულეების გამო ფინანსური აქტივის მოქმედი ბაზრის გაუქმებას.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის.

თვითღირებულებით ასახული ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების რეზერვი განისაზღვრება როგორც სხვაობა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივების უკუგების მიმდინარე საბაზრო განაკვეთით დისკონტირებულ მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის. ასეთი გაუფასურების დანაკარგი შემდგომში არ ექვემდებარება გაუქმებას.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების დანაკარგებით გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, სადაც საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების ანგარიშის გამოყენებით. როდესაც სესხის, ან მოთხოვნის ამოღების შესაძლებლობა ამოწურულია იგი ჩამოიწერება სარეზერვო ანგარიშის გამოყენებით. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების აღდგენა აისახება რეზერვის ანგარიშზე. გაუფასურების რეზერვის საბალანსო ღირებულების ანგარიშის ცვლილება აისახება მოგებასა და ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ გაუფასურების ხარჯი შემდგომ პერიოდში შემცირდა და ეს კლება ობიექტურად შეიძლება უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდება ადრე აღრიცხული გაუფასურების ხარჯის გაუქმება მოგება-ზარალში ისე, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება გაუფასურების ხარჯის გაუქმების შემდეგ არ აჭარბებდეს ამორტიზებულ ღირებულებას გაუფასურების აღიარების გარეშე.

2.6 იჯარა

კომპანიას იჯარით აქვს აღებული ძირითადი საშუალება, კერძოდ სავაჭრო ფართი ბაზრობის ტერიტორიაზე საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებებით. იჯარის პირობები მოიცავს რამდენიმე თვიან პერიოდს და მუდმივად განახლებადია.

კომპანია ასევე ქირაობს სხვადასხვა ძირითად საშუალებებს შეწყვეტადი საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებებით. მოგება ზარალის უწყისში შესული საიჯარო ქირა მოცემულია შენიშვნა 17-ში.

2.7 მარაგები

სავაჭრო საქონელი, ასევე სხვა მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ.

2.8 გადასახადები

გადასახადების აღრიცხვა ხდება მოგება ზარალის უწყისში. თუ არ ეხება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ საკუთარ კაპიტალში აღრიცხულ ერთეულებს. ასეთ შემთხვევებში გადასახადიც აღრიცხება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ საკუთარ კაპიტალში. გადასახადის ხარჯი გამოითვლება იმ საგადასახადო კანონმდებლობაზე დაყრდნობით, რომელიც ძალაშია იმ ქვეყანაში, სადაც კომპანია საქმიანობს და გამოიმუშავებს დასაბეგრ შემოსავალს ბალანსის მომზადების თარიღისთვის. შენეჯმენტი პერიოდულად აფასებს საგადასახადო დეკლარაციების პოზიციებს, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ საგადასახადო რეგულაციების შეიძლება იყო ინტერპრეტაციის საგანი და განიხილავს ანარიცხების შექმნის მიზანშეწონილობას იმ ოდენობით, რა თანხების გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის.

2.9 ამონაგების აღიარება

ამონაგები არის კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში საქონლის გაყიდვისა და მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულება. ამონაგები წარმოდგენილია დამატებითი ღირებულების გადასახადის, საქონლის დაბრუნებების, ფასდათმობების და მარკეტინგული აქტივობების დანახარჯების გამოკლებით.

კომპანია აღიარებს ამონაგებს როდესაც შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა, მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და კომპანიის თითოეული საქმიანობის ქვემოთ ჩამოთვლილი სპეციფიური კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია:

პროდუქციის გაყიდვები და სავაჭრო საქონელი – საბითუმო

კომპანია აწარმოებს და ყიდის საკუთარ პროდუქციას მესამე მხარეებზე საბითუმო ბაზარზე. პროდუქციის გაყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მიაწვდის საქონელს ბითუმად მოვაჭრეს, მას შეუძლია გასაყიდი ფასი დაადგინოს თავისი შეხედულებისამებრ და არ არსებობს შეუსრულებელი ვალდებულება, რომელიც გავლენას იქონიებს ბითუმად მოვაჭრის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება არ სრულდება მანამ, სანამ საქონელი არ არის მიტანილი დანიშნულების ადგილას, ზარალის რისკი გადაცემულია მოვაჭრეზე და შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთი დაკმაყოფილებულია: მოვაჭრემ კონტრაქტის შესაბამისად მიიღო საქონელი ხოლო მიღების პირობები დაკმაყოფილებულია, ან კომპანიას აქვს ობიექტური მტკიცებულება, რომ მიღების კრიტერიუმები

დაკმაყოფილებულია.

საქონელი იყიდება რაოდენობაზე ფასდათმობის გათვალისწინებით და მომხმარებელს აქვს უფლება საბითუმო ბაზარზე დააბრუნოს საქონელი წუნის აღმოჩენის შემთხვევაში. გაყიდვების აღრიცხვა ხდება გაყიდვის ხელშეკრულების სპეციფიურ ფასზე დაყრდნობით, რაოდენობაზე ფასდათმობის და დაბრუნებების გამოკლებით. დაგროვილი გამოცდილება გამოიყენება რაოდენობაზე ფასდათმობის და დაბრუნებების განსასაზღვრად. რაოდენობაზე ფასდათმობა ფასდება მოსალოდნელ წლიურ შესყიდვებზე დაყრდნობით.

2.10 დივიდენდების განაწილება

კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდების განაწილების აღიარება ფინანსურ ანგარიშგებაში ხდება ვალდებულების სახით, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდებს დაამტკიცებს კომპანიის აქციონერი.

2.11 დამატებითი ღირებულების გადასახადი

საგადასახადო ორგანოები ითხოვენ დღგ-ს დაფარვას ნეტო საფუძველზე. გაყიდვებთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ-ს აღიარება ხდება ბალანსში ნეტო საფუძველზე. როდესაც მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი არის შექმნილი, გაუფასურების ზარალის დაანგარიშება ხდება სრული თანხიდან, რომელიც მოიცავს დღგ-ს.

2.12 კრედიტორები

კრედიტორები წარმოადგენს ვალდებულებას საწარმოსთვის, ყოველდღიური საქმიანობის პირობებში, საქონლის ან მომსახურების მიწოდებისთვის. კრედიტორები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულება თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში (ან თუ საწარმოს საოპერაციო ციკლი უფრო ხანგრძლივია, ამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში). თუ დაფარვა მოსალოდნელია უფრო ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, მაშინ კრედიტორი წარმოადგენს გრძელვადიან ვალდებულებას. კრედიტორების საწყისი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომი ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

2.13 ავანსები

ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. ავანსი გრძელვადიანად ითვლება, თუ მასთან დაკავშირებული საქონლისა თუ მომსახურების მიღება ივარაუდება ერთი წლის შემდგომ, ან თუ ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავად ითვლება თავდაპირველი აღიარებისას გრძელვადიანად. აქტივების ყიდვაზე გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის დამყარების შემდეგ და თუ მოსალოდნელია, რომ მასთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს კომპანია მიიღებს. სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგებაზარალში მათთან დაკავშირებული საქონლისა თუ მომსახურებების მიღების შემდეგ. თუ არის იმის ნიშნები, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივების, საქონლისა თუ მომსახურებების მიღება ვერ მოხერხდება, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება, ხოლო წლის მოგება-ზარალში აღიარდება შესაბამისი გაუფასურების ზარალი.

2.14 ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით. რეალური ღირებულება დგინდება მსგავს ინსტრუმენტზე მოქმედი საბაზრო განაკვეთების გამოყენებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ ნასესხები სახსრები აღირიცხება ამორტიზებული

ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, ხოლო სხვაობა თავდაპირველად აღიარებულ ღირებულებასა და დაფარულ თანხას შორის მოგება-ზარალში აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი სესხის მოქმედების პერიოდში.

2.15 საოპერაციო მოგება

საოპერაციო მოგება წარმოადგენს განსხვავებას საოპერაციო შემოსავლებსა (პროდუქციის, სავაჭრო საქონელის და მომსახურების გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები, საპროცენტო და სხვა შემოსავლები) და საოპერაციო ხარჯებს (ყველა ხარჯი საფინანსო ხარჯებისა და გადასახადების გამოკლებით) შორის.

3. ხელმძღვანელობის განსჯის სფეროები და შეფასების არასარწმუნოების უმთავრესი წყაროები

კომპანიის ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენებისას (შენიშვნა 2), ხელმძღვანელობა ვალდებულია განიხილოს, შეაფასოს და გააკეთოს დაშვებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წყაროებიდან არ იკვეთება. ხელმძღვანელობის შეფასება და შესაბამისი დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც მართებულად ითვლება. ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები ფასდება რეგულარულად. ბუღალტრული შეფასებების შესწორება აღიარებას ექვემდებარება იმ პერიოდისათვის, როდესაც ხდება შესწორება, თუ შესწორება ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს შესაბამისად შესწორება მოხდება მიმდინარე და შემდგომ პერიოდებში.

შეფასების არასარწმუნოების უმთავრესი წყაროები

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების პერიოდი

ძირითადი საშუალების სასარგებლო მოხმარების პერიოდის დადგენა წარმოადგენს ხელმძღვანელობის მსჯელობის საგანს მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. ძირითადი საშუალების სასარგებლო მოხმარების პერიოდის დადგენისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელი მოხმარების, სავარაუდო ტექნიკური მოძველების, ფიზიკური მოხმარებისა თუ ცვეთის და აქტივის ფიზიკურ საოპერაციო გარემოს პარამეტრების. ცვლილებამ რომელიმე ერთ პირობაში ან შეფასებაში შეიძლება გამოიწვიოს ცვეთის/ამორტიზაციის მომავალი განაკვეთის კორექტირება.

უიმედო ვალების რეზერვი

კომპანია, კლიენტების გადახდისუნარიანობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის რეზერვს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტსაიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს უიმედო ვალების რეზერვის მოდიფიცირება.

4. ფინანსური რისკის მართვა

4.1 ფინანსური რისკის ფაქტორები

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). კომპანიის რისკის მართვის პროგრამა ფოკუსირებულია ფინანსური ბაზრის არაპროგნოზირებაზე და მიზნად ისახავს კომპანიის ფინანსურ საქმიანობაზე უარყოფითი გავლენის შემცირებას.

ა) სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის საფრთხე, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება სავალუტო კურსის ცვლილების გამო შეიცვლება. კომპანიის ფინანსური პოზიციისა და ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისებში ჩანს, რომ კომპანია შეიძლება დაუცველი იყოს სავალუტო რისკებისგან. 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა მნიშვნელოვანი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დენომინირებული იყო

აშშ	დოლარსა	და	ევროში.
-----	---------	----	---------

შპს ელექტრონის

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ყველა თანხა მოცემულია ლარში

	31 დეკემბერი 2017		1 იანვარი 2017	
	USD 1 = 2.5922 GEL	EUR 1 = 3.1044 GEL	USD 1 = 2.6468 GEL	EUR 1 = 2.7940 GEL
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	36 490	106	1 217 557	1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	-	-
სულ ფინანსური აქტივები	36 490	106	1 217 557	1
ფინანსური ვალდებულებები				
საოჯარო ვალდებულებები	-	-	-	-
ნასესხები სახსრები	8 236 375	-	-	-
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	831 605	-	1 251	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	9 067 980	-	1 251	-
სულ წმინდა პოზიცია	(9 031 490)	106	1 216 306	1

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის 10%-ით გამეორება/გაიანგების მიმართ 2017 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად. ანალიზი ჩატარდა საანგარიშო დღეს შესაბამის ვალუტებში დენომინირებულ ფულად ერთეულებზე.

2017 წლის 31 დეკემბერს:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL 10%	USD/GEL - 10%	EUR/GEL 10%	EUR/GEL - 10%
მოგება/ზარალი გადასახდებამდე:	(903 149.00)	903 149	-	-

2017 წლის იანვარს:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL 10%	USD/GEL - 10%	EUR/GEL 10%	EUR/GEL - 10%
მოგება/ზარალი გადასახდებამდე:	121 630.60	(121 631)	0.10	(0)

ბ) საკრედიტო რისკი

კომპანიის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, დეპოზიტებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. კომპანიას გააჩნია პოლიტიკა პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს გაყიდვებს კლიენტებისთვის შესაბამისი საკრედიტო ისტორიით, წინასწარ განსაზღვრული საკრედიტო ლიმიტების ფარგლებში. კომპანიის საკრედიტო რისკი არის დაბალი, ვინაიდან მოთხოვნები წარმოქმნილია მომხმარებლების დიდი ჯგუფისგან. გარდა ამისა, კომპანიის მთავარი მომხმარებლები არიან დიდი საცალო ქსელები, ამასთან, მათზე დამოკიდებულება შემცირებულია ალტერნატიული სადისტრიბუციო არხების განვითარებით. კომპანია ამცირებს საკრედიტო რისკს მკაცრი პოლიტიკის შესრულებით დებიტორული დავალიანების ამოღების და პროდუქციის მიწოდების მიმართებაში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საკრედიტო ლიმიტები არ აღემატება განსაზღვრულ ლიმიტებს და მენეჯმენტი არ მოელოდება კონტრაქტორების შეუსრულებლობას და შესაბამისად არც დანაკარგებს.

ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, სადაც არ შედის გაუფასურების ზარალი, წარმოადგენს კომპანიის მაქსიმალურ დამოკიდებულებას საკრედიტო რისკის მიმართ.

შპს ელექტრონის

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ყველა თანხა მოცემულია ლარში

გ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება. კომპანია ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება სარეალიზაციო საქონლის მომწოდებლის კრედიტორული დავალიანება რომელიც აღრიცხულია მოკლევადიან ვალდებულებად, კომპანიას აქვს განზრახული მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი, კომპანიის უნარის, დაფაროს სხვა არაუერთიერდამოკიდებული კრედიტორების დავალიანება, გაუარესების გარეშე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია კომპანიის არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების დარჩენილი საკონტრაქტო ვადიანობა, დაფარვის შეთანხმებული პერიოდებით 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ცხრილები შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი სახსრების საფუძველზე იმ უახლესი თარიღის გათვალისწინებით, როდესაც კომპანიას შეიძლება გადახდა მოეთხოვოს. ცხრილებში ნაჩვენებია როგორც საპროცენტო, აგრეთვე ძირითადი თანხების გადახდებიც.

ფინანსური აქტივები

ფული და ფულის ექვივალენტები

1 033 519

-

-

-

-

-

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

356 410

-

-

-

-

-

სულ ფინანსური აქტივები

1 389 929

-

-

-

-

-

ფინანსური ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა გადასახდელი

307 912

556 433

1 072

-

59 160

-

სხვა გადასახდელი დავალიანება

1 480

-

-

-

-

-

საგადასახდო დავალიანება

204 017

-

-

-

-

-

ნასესხები სახსრები

55 095

55 095

55 095

165 285

330 570

7 575 235

სესხებზე გადასახდელი პროცენტები

43 326

39 018

40 087

119 971

236 290

2 112 917

სულ ფინანსური ვალდებულებები

611 830

650 546

96 254

285 256

626 020

9 688 152

ლიკვიდურობის მაჩვენებელი

778 099

(650 546)

(96 254)

(285 256)

(626 020)

(9 688 152)

ჯამური ლიკვიდურობის მაჩვენებელი

778 099

127 553

31 299

(253 957)

(879 977)

(10 568 129)

4.2 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია საკუთარ კაპიტალს მართავს იმისათვის, რომ შეძლოს ჩვეულ რეჟიმში ფუნქციონირების გაგრძელება, რათა სესხებისა და კაპიტალის ნაშთების ოპტიმიზაციის საშუალებით მოახდინოს აქციონერების უკუგების მაქსიმიზაცია. ხელმძღვანელობა კაპიტალის სტრუქტურას რეგულარულად აანალიზებს. შემოწმების შედეგების მიხედვით, კომპანია იღებს ზომებს, რათა კაპიტალის ზოგადი სტრუქტურა დააბალანსოს დივიდენდების გადახდებით, ახალი სესხების აღებითა და არსებული სესხების დაფარვით.

შპს ელექტრონის

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ყველა თანხა მოცემულია ლარში

როგორც სხვები ამავე ინდუსტრიაში, კომპანია კაპიტალის მონიტორინგს ახორციელებს სესხებისა და საკუთარი კაპიტალის ფარდობით ანალიზის საფუძველზე. ეს თანაფარდობა გამოითვლება როგორც წმინდა ვალი შეფარდებული მთლიან კაპიტალთან. წმინდა ვალი გამოითვლება მთლიან სესხებს (მათ შორის "მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის უწყისში) მინუს ფული და ფულის ეკვივალენტები. მთლიანი კაპიტალი გამოითვლება როგორც "კაპიტალი", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის უწყისში პლუს წმინდა ვალი.

2017 წლის 31 დეკემბერი

სულ სესხები (შენიშვნა 12)	8,236,375
მინუს: ფული და ფულის ეკვივალენტები (შენიშვნა 11)	(1,033,519)
წმინდა სესხები	7,202,856
სულ კაპიტალი	16,797,283
სულ კაპიტალი	24,000,139
წმინდა სესხის ფარდობა საკუთარ კაპიტალთან "Gearing ratio"	43% 30%

5. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები

2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანია არ მონაწილეობდა რაიმე მნიშვნელოვან სამართლებრივ დავაში. ხელმძღვანელობის აზრით, მომავალში მნიშვნელოვანი ოდენობის დაურიცხავი ზარალის გაწევა მოსალოდნელი არ არის. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში რეზერვი არ შექმნილა.

ვალდებულებები

2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიას პირობითი მატერიალური ვალდებულებები არ გააჩნდა.

საოპერაციო გარემო

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად იცვლება. საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობას ახასიათებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. საქართველოში ამჟამად მოღვაწე მეწარმეთა წინაშე დგას სხვა სამართლებრივი და ფისკალური გამოწვევებიც. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე.

შპს ელექტრონის
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ყველა თანხა მოცემულია ლარში

საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შედგება:

	მიწის ნაკვეთები	დაუშთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2017	2 326 275	71 063	839 060	49 371	45 320	2 137	3 333 226
დამატება	-	849 978	13 253	17 280	29 196	-	909 707
ნაშთი 31 დეკემბერი 2017	2 326 275	921 041	852 313	66 651	74 516	2 137	4 242 933
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2017	-	-	108 676	29 206	33 362	597	171 841
წლის დარიცხვა	-	-	28 114	7 624	8 490	304	44 532
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2017	-	-	136 790	36 830	41 852	901	216 373
წმინდა საბალანსო ღირებულებები							
2017 წლის 1 იანვარი	2 326 275	71 063	730 384	20 165	11 958	1 540	3 161 385
2017 წლის 31 დეკემბერი	2 326 275	921 041	715 523	29 821	32 664	1 236	4 026 560

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებები არ არის იპოთეკით დატვირთული.

2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანია ფლობს ისეთ სრულად გაცვეთილ აქტივებს, რომელთა სალიკვიდაციო ღირებულება შეადგენს, შესაბამისად 1,607 და 1,590 ლარს, ხოლო ისტორიული ღირებულება - 31,934 და 31,594 ლარს.

შპს ელექტრონის
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ყველა თანხა მოცემულია ლარში

7. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბერი 2017	01 იანვარი 2017
მიწის ნაკვეთი აღმაშენებლის 12-ე კმ (20'000კვ.მ)	11 907 137	-
	11 907 137	-
სულ	11 907 137	-

კომპანიის საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის დაახლოებით იგივე რაც მისი საბალანსო ღირებულება. საინვესტიციო ქონება წარმოადგენს მიწას. სამართლიანი ღირებულების დადგენის მიზნით, კომპანიის ხელმძღვანელობამ გამოიყენა გაყიდვის შედარებითი მეთოდი, რომელიც ღია ბაზარზე საკმარისი შესადარი მონაცემების არსებობის პირობებში, უძრავი ქონების შეფასების აღიარებული მეთოდია. იგი ეფუძნება მსგავს ქონებაზე ბოლოდროინდელი ტრანზაქციების ფასებს.

8. მარაგები

მარაგები 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბერი 2017	01 იანვარი 2017
სარეალიზაციო საქონელი:		
კაბელები	5 134 328	5 899 449
ავტომატი	887 308	641 125
ტრანსფორმატორები	539 596	409 507
სანათები	391 386	371 151
სხვა სამონტაჟო საქონელი	1 720 498	1 819 625
	8 673 116	9 140 857
სულ	8 673 116	9 140 857

9 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

შპს ელექტრონის

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ყველა თანხა მოცემულია ლარში

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის
მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბერი 2017	01 იანვარი 2017
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	684 586	439 282
ანარიცხები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	(328 176)	(275 036)
	356 410	164 246
სულ	356 410	164 246

მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნების ანარიცხები 2017 წლის 31 დეკემბრის და
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბერი 2017	01 იანვარი 2017
2-3 თვემდე ვადის	1 275	-
3-6 თვემდე ვადის	6 700	-
6-12 თვემდე ვადის	29 494	-
12 თვეზე მეტი ვადის	290 707	275 036
	328 176	275 036

შპს ელექტრონის

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ყველა თანხა მოცემულია ლარში

მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით
შედგება მომწოდებლებზე სავაჭრო საქონლისთვის გადახდილი ავანსებისგან:

	31 დეკემბერი 2017	01 იანვარი 2017
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	387 268	184 663
სულ	387 268	184 663

11. ფული და ფულის ექვივალენტები

ფულის და ფულის ექვივალენტები 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით
შედგება:

	31 დეკემბერი 2017	01 იანვარი 2017
ნაღდი ფული ლარებში	24 853	116 283
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	972 065	516 408
უცხოური ვალუტა ადგილობრივ ბანკებში	36 601	1 217 562
სულ	1 033 519	1 850 253

შპს ელექტრონის
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ყველა თანხა მოცემულია ლარში

12. ნასესხები სახსრები

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვადიანობა	31 დეკემბერი 2017	01 იანვარი 2017
სს. პროკრედიტ ბანკი	GEL	6%	30 ივნისი 2027	8 236 375	-
სულ ნასესხები სახსრები				8 236 375	-
მოკლევადიანი ნაწილი				661 140	-
გრძელვადიანი ნაწილი				7 575 235	-
ბანკიდან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის გრძელვადიანი აქტივებით					
				31 დეკემბერი 2017	01 იანვარი 2017
ერთ თვემდე				51 660	-
ერთიდან სამ თვემდე				164 710	-
სამიდან თორმეტ თვემდე				444 770	-
სულ ერთ წელიწადში გადასახდელი				661 140	-
ერთიდან ხუთ წლამდე				3 090 253	-
ხუთ წელზე მეტი				4 484 982	-
სულ ნასესხები სახსრები				8 236 375	-

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების ფულადი და არაფულადი ცვლილებები.

	1 იანვარი 2017	ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან (i)	პროცენტის ცვლილება (ii)	საკუროს სხვაობის ცვლილებით მიღებული მოგება	31 დეკემბერი 2017
ნასესხები სახსრები	-	7,633,001	-	603,374	8,236,375

13. სავაჭრო და სხვა გადასახდელები

სავაჭრო და სხვა გადასახდელები 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბერი 2017	01 იანვარი 2017
სავაჭრო გადასახდელები მარაგებზე და მომსახურებაზე	924 577	106 022
სულ	924 577	106 022

შპს ელექტრონის
 სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 ყველა თანხა მოცემულია ლარში

14. ვალდებულებები მიღებული ავანსებიდან

მიღებული ავანსები 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბერი 2017	01 იანვარი 2017
სავაჭრო ვალდებულებები მიღებული ავანსებიდან:	231 951	178 183
სულ	231 951	178 183

15. შემოსავალი

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიის შემოსავალი შედგებოდა შემდეგისაგან:

	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
კაბელები	17 466 952
ტრანსფორმატორები	796 998
ავტომატი	762 109
სანათები	102 909
სხვა სამონტაჟო საქონელი	2 450 723
	21 579 691
სულ	21 579 691

შპს ელექტრონის
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ყველა თანხა მოცემულია ლარში

16. რეალიზაციის თვითღირებულება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიის მიერ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავდა:

	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
კაბელები	14 050 417
ტრანსფორმატორები	550 711
ავტომატი	486 326
სანათები	66 445
სხვა სამონტაჟო საქონელი	1 766 568
	16 920 467
სულ	16 920 467

17. ადმინისტრაციული ხარჯები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიის ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავდა:

	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
შრომის ანაზღაურება	447 241
ცვეთა და ამორტიზაცია	47 146
ბანკის საკომისიო	34 675
საგადასახადო ხარჯები	33 402
სხვა საერთო ხარჯი	14 768
საიჯარო ქირა	14 237
კომუნალური ხარჯი	13 394
ძირითადი საშუალების რემონტი	12 725
საოფისე ინვენტარი	4 883
წარმომადგენლობითი ხარჯი	4 661
საკონსულტაციო ხარჯები	1 281
	628 413
სულ	628 413

შპს ელექტრონის
 სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 ყველა თანხა მოცემულია ლარში

18. საპროცენტო ხარჯები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიის მიერ გაწეული საპროცენტო ხარჯები მოიცავდა პროკრედიტბანკისგან მიღებული სესხის ხარჯებს:

	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
საპროცენტო ხარჯი	246 200
სესხის საკომისიო ხარჯები	15 887
	262 087
სულ	262 087

19. ფინანსური ხარჯი, წმინდა

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ზარალი სავალუტო ოპერაციებზე მოიცავდა:

	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
შემოსავალი კურსთა შორის სხვაობიდან	531 402
კონვერტაციის ხარჯი	79 449
ზარალი სავალუტო კურსთაშორის სხვაობიდან	1 301 691
	849 738
სულ	849 738

შპს ელექტრონის
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2017 წლის 31 დეკემბრისთვის
ყველა თანხა მოცემულია ლარში

20. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებში შედიან მფლობელები, პირები ერთობლივი მფლობელობისა და კონტროლის ქვეშ, აგრეთვე უმაღლესი ხელმძღვანელობა.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ ისეთი ტრანზაქციების განხორციელება, რისი უფლებაც არადაკავშირებულ მხარეებს არ აქვთ. ხოლო ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებს შორის შეიძლება ხორციელდებოდეს დაუკავშირებელ მხარეებს შორის მიმდინარე ტრანზაქციებისგან განსხვავებული პირობებით.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თითოეული ურთიერთობის გათვალისწინებისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ნაშთები და გარიგებები:

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

	31 დეკემბერი 2017	
	მფლობელები	ჯამი
გადახდილი დივიდენდები	210 000	210 000
შრომის ანაზღაურება	137 475	137 475
	31 დეკემბერი 2016	
	მფლობელები	ჯამი
გადახდილი დივიდენდები	934 125	934 125
შრომის ანაზღაურება	108 700	108 700

21. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ

არ აღმოჩენილა არანაირი შემდგომი მოვლენები, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს.

22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2018 წლის 9 ივლისს.

შპს ელექტრონი ჩამოყალიბდა 2004 წლის 23 დეკემბერს. კომპანიის დამფუძნებელია ოთხი ფიზიკური პირი. შპს ელექტრონის დირექტორია მალხაზ გოგატიშვილი, რომელიც მართავს კომპანიას და იღებს ყველა ძირითად გადაწყვეტილებას დანარჩენ დამფუძნებლებთან და მენეჯმენტთან შეთანხმებით. კომპანიის მენეჯმენტი შედგება შემდეგი პირებისგან:

- დამფუძნებელი, დირექტორი - მალხაზ გოგატიშვილი,
- დამფუძნებელი, ფინანსური მენეჯერი - ჯოზა გოგატიშვილი,
- დამფუძნებელი, გაყიდვების მენეჯერი - კახაბერ სახამბერიძე
- დამფუძნებელი - ხვიჩა ფორჩხიძე (ყოველდღიურ მართვაში არ მონაწილეობს)
- მთავარი ბუღალტერი - ლელა მღებრიშვილი

ჩვენი საქმიანობის საგანს წარმოადგენს საქართველოში ელექტრო საქონლის იმპორტი და საბითუმო/საცალო ვაჭრობა თბილისში არსებული ძირითადი ბაზიდან და ელიავას ბაზრობაზე არსებული მაღაზიიდან. კომპანია შემოსავალს ასევე იღებს საინვესტიციო საქმიანობიდან. საინვესტიციო ქონება მდებარეობს თბილისში, დილოში და მოიცავს სასაწყობო ფართებსა და მიწას.

აღნიშნული ბაზარი საკმაოდ კონკურენტულია. ძირითადი კონკურენტი სს საქკაბელი, თუმცა ბაზარი გამოირჩევა წვრილი მომწოდებლის სიმრავლით, რომლებსაც ჯამში ბაზრის საკმაოდ მაღალი წილი უჭირავთ. ზუსტი ინფორმაცია საბაზრო წილების შესახებ არ არის ცნობილი, თუმცა ჩვენ კომპანიას საკმაოდ მყარი პოზიცია უკავია ბაზარზე.

ჩვენი ძირითადი კონკურენტული უპირატესობა არის მაღალი ხარისხის პროდუქცია და მომხმარებელზე ორიენტირებულობა. ჩვენ მომხმარებელს ვთავაზობთ მხოლოდ სერტიფიცირებულ საქონელს კლიენტისთვის მისაღებ ფასად.

2017 წელს ჩვენ პროდუქციას მივაწოდეთ 8390 მომხმარებელს, ძირითადი მყიდველები არიან სამშენებლო კომპანიები და მსხვილი საწარმოები. ამათგან გაყიდვების ყველაზე დიდი მოცულობამ შეადგინა:

შპს ქსელმშენი	590 124.70
სს თელასი	807 343.40
შპს ხუასინის სამშენებლო კომპანია	803 568.70
შპს ელექტრო სერვის ჯგუფი	868 220.52

სულ 2017 წლის გაყიდვებმა შეადგინა 21'579'691 ლარი.

ჩვენ მომხმარებლებს ვამარაგებთ 3'400-მდე დასახელების პროდუქციით. ძირითად პროდუქციას წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის კაბელები და სადენები. ძირითადი სასაქონლო ასორტიმენტი შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე www.eleqtroni.ge.

ელექტრო საქონლით ვაჭრობა არ არის კანონმდებლობით რეგულირებული.

ელექტრო საქონლის ბაზარი ხასიათდება სეზონურობით, კერძოდ ზამთრის ვაჭრობა მცირდება 20%, თუმცა 2018 წელს, კრიპტოვალუტის პოპულარიზაციის ზრდამ გამოიწვია სეზონური ეფექტის თითქმის განულება.

ჩვენ ვგეგმავთ პროდუქციის კიდევ უფრო დივერსიფიკაციას და გვინდა მომხმარებლებს დამატებით შევთავაზოთ საყოფაცხოვრებო განათების სისტემები და საინვესტიციო ქონების განვითარება საწყობების მშენებლობის სახით.

ჩვენ ძირითად საქმიანობას სრულად ვაფინანსებს საკუთარი კაპიტალით. 2017 წელს სს პროკრედიტ ბანკისგან მიღებული კრედიტით დაფინანსდა საინვესტიციო ქონების შეძენა. საინვესტიციო ქონების შეძენამ დროებით გააუარესა კომპანიის საქმიანობის 2017 წლის ზოგიერთი მაჩვენებელი 2016 წელთან შედარებით, მაგრამ აღნიშნული მაჩვენებლები 2018 წელს მიმდინარე პერიოდისთვის უკვე გაუმჯობესებულია.

ჩვენი ძირითად მომწოდებლები არიან თურქული და ჩინური კომპანიები, რომლებისგანაც ვიძენთ მხოლოდ სერტიფიცირებულ პროდუქციას. ასევე მცირე რაოდენობის პროდუქციის იმპორტს ვახორციელებთ უკრაინიდან და რუსეთიდან.

ჩვენ ოპერაციებს ვახორციელებთ სათავო ოფისის და მეშვეობით, არ გაგვაჩნია ფილიალები და ახლო მომავალშიც არ ვგეგმავთ არსებული მოდელის შეცვლას. ჩვენთან დასაქმებულია 25 ადამიანი.

მოხარულები ვართ წარმოგიდგინოთ 2016-2017 წლის ფინანსური კოეფიციენტები, საიდანაც უფრო მარტივი დასანახია ჩვენი წარმატებები და მომავალი სამუშაო მიმართულებები:

#	მაჩვენებელი	2017 წელი	2016 წელი
1	მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი	2.42	3.52
2	აქტივების კაპიტალთან ფარდობა	1.89	1.26
3	საოპერაციო მოგების ნორმა	0.65	0.77
4	წმინდა მოგების ნორმა	0.13	0.16
5	სააქციო კაპიტალის შემოს. კოეფიციენტი ROE	0.22	0.45
6	მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	5.17	34.51

ჩვენ საქონლის ნაწილს მომხმარებლებს ვაწვდით კონსიგნაციით, ინდივიდუალური პირობებით სხვადასხვა მომხმარებლისთვის. შესაბამისად, ჩვენ საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკს წარმოადგენს დებიტორის მიერ დავალიანების არ გადახდა. ამ რისკის კომპანიის საქმიანობაზე ზემოქმედების მასშტაბები ჩვენს მიერ გაანალიზებულია და მისი შემცირებისთვის გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები - ხდება თითოეული მომხმარებლის ფინანსური შესძლებლობების შესწავლა, გადაწყვეტილების მიღება საქონლის მიწოდებასა და კონსიგნაციის პირობებთან დაკავშირებით ხდება ამ შესწავლის საფუძველზე.

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს ელექტრონის მმართველობითი ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს ელექტრონის 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს ელექტრონის მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს ელექტრონი. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე

საწარმოს ვალდებულებაა მმართველობის ანგარიშგების მოამზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობითი ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

მართვის საკონსულტაციო ჯგუფი

თამარ მერმანშვილი

მმართველი პარტნიორი

2018 წელი, თბილისი, საქართველო

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ელექტრონი“-ს („კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და აქციონერთა კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ფინანსური აღრიცხვის პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა დაამტკიცა 2018 წლის 9 ივლისს.

შპს ელექტრონის დირექტორი

მაღალხაზ გოგატიშვილი



დაუმოკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ელექტრონის დამფუძნებლებს

კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ელექტრონის (კომპანია) სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი მოსაზრებით, გარდა მოდიფიცირებული მოსაზრების საფუძველში აღწერილი საკითხისა, მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით და ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების ჩათვლით ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოდიფიცირებული მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2018 წლის 15 აპრილს და ამდენად, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მარაგების ფიზიკურ გადათვლას არ დავსწრებივართ. ჩვენ ვერ შევძელით 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფლობილი მარაგების რაოდენობაში ალტერნატიული საშუალებებით დარწმუნება. ვინაიდან მარაგების საწყისი ნაშთი ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა სრული შემოსავლების ანგარიშში ასახული წლის მოგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა სტანდარტების მიხედვით შემდგომში აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგების აუდიტზე“

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (პბეკ კოდექსი) შესაბამისად.

ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია და შესაფერისი ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა მიიჩნევს საჭიროდ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია

შეფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე.

ჩვენი მიზანია, გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლინდება არსებითი უზუსტობები ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლის მიერ წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- შევისწავლით აუდიტისთვის რელევანტურ შიდა კონტროლს რათა დავგეგმოთ აუდიტორული პროცედურები რომლებიც არის შესაფერისი კონკრეტულ გარემოებებთან, მაგრამ არა იმ მიზნით რომ გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- გამოვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთი მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო

მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.



შპს ელექტრონის
სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ყველა თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	6	4 026 560	3 161 385
არამატერიალური აქტივები		11 674	4 289
საინვესტიციო ქონება	7	11 907 137	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		15 945 371	3 165 674
მიმდინარე აქტივები:			
მარაგები	8	8 673 116	9 140 857
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	9	356 410	164 246
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		-	2 951
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	10	387 268	184 663
ფული და ფულის ექვივალენტები	11	1 033 519	1 850 254
სულ მიმდინარე აქტივები		10 450 313	11 342 971
სულ აქტივები		26 395 684	14 508 645
აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები			
აქციონერთა კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი		2 010	2 010
გაუნაწილებელი მოგება		16 795 273	14 115 905
სულ აქციონერთა კაპიტალი		16 797 283	14 117 915
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხები	12	7 575 235	-
გადავადებული მოგების გადასახადი		-	62 034
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		7 575 235	62 034
მიმდინარე ვალდებულებები:			
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	13	924 577	106 022
მიღებული ავანსები	14	231 951	178 183
სხვა გადასახდელი დავალიანება		1 481	1 481
მოკლევადიანი სესხები	12	661 140	-
საგადასახადო დავალიანება		204 017	43 010
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2 023 166	328 696
სულ ვალდებულებები		9 598 401	390 730
სულ აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები		26 395 684	14 508 645

9-30 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები შეადგენს ამ ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ელექტრონის დირექტორი

მალხაზ გოგატიშვილი



შპს ელექტრონის


სპეციალური დანიშნულების მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ყველა თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი
მიმდინარე ოპერაციები		
შემოსავალი	15	21 579 691
რსო	16	(16 920 467)
მთლიანი მოგება		4 659 224
სხვა საოპერაციო ხარჯები		(68 926)
ადმინისტრაციული ხარჯები	17	(628 413)
საპროცენტო შემოსავალი		5 827
საპროცენტო ხარჯი	18	(262 087)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	19	(849 738)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა		(26 558)
მოგება გადასახადამდე		2 829 329
მოგების გადასახადი		(1 995)
წლის წმინდა მოგება მიმდინარე ოპერაციებიდან		2 827 334

9-30 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები შეადგენს ამ ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ელექტრონის დირექტორი

მალხაზ გოგატიშვილი



შპს ელექტრონის

სპეციალური დანიშნულების ნაღდი ფულის მოძრაობის ანგარიში
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ყველა თანხა მოცემულია ლარში


	შენიშვნა	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წელი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის მოგება გადასახდებამდე		2 829 329
კორექტირება:		
მოგების გადასახადი		1 995
ცვეთა და ამორტიზაცია	6	47 146
ზარალი მარაგების ჩამოწერიდან		62 381
საპროცენტო ხარჯი	18	262087
რეზერვების ამოტრიალება/დარიცხვა		53 141
ფინანსური ხარჯი წმინდა	19	849738
ფულადი სახსრების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან		
აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე		4 105 817
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(444 958)
მარაგების კლება/(ზრდა)		405 360
სავაჭრო და სხვა გადასახდელების ზრდა/(კლება)		999 222
გადახდილი პროცენტი		(262 087)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ნაღდი ფული		4 803 354
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითად საშუალებების შესაძენად გადახდილი თანხები	6	(12 809 564)
წმინდა ფულადი სახსრების გაძინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(12 809 564)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
შემოსავალი ნასესხები სახსრებიდან		7 943 760
ნასესხები სახსრების დაფარვა		(310 759)
გაცემული დივიდენდები		(210 000)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული		7 423 001
წმინდა (კლება)/ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში		(583 209)
საკუროს სხვაობის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ფულის ნაშთზე		(233 526)
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში		1 850 254
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს		1 033 519

9-30 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები შეადგენს ამ ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.

შპს ელექტრონის დირექტორი

მალხაზ გოგატიშვილი

[Handwritten signature]



შპს ელექტრონის

სპეციალური დანიშნულების კაპიტალში ცვლილებების ანგარიში

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ყველა თანხა მოცემულია ლარში

შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 1 იანვარი 2017	2 010	14 115 905	14 117 915
წლის წმინდა მოგება	-	2 827 334	2 827 334
გაუნაწილებელი მოგების სხვა ცვლილება	-	62 034	62 034
გადახდილი დივიდენდები	-	(210 000)	(210 000)
ნაშთი 31 დეკემბერი 2017	2 010	16 795 273	16 797 283

9-30 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები შეადგენს ამ ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ელექტრონის დირექტორი

მალხაზ გოგატიშვილი



შპს ელექტრონიკა ჩამოყალიბდა 2004 წლის 23 დეკემბერს. კომპანიის დამფუძნებელია ოთხი ფიზიკური პირი. შპს ელექტრონიკის დირექტორია მალხაზ გოგატიშვილი, რომელიც მართავს კომპანიას და იღებს ყველა ძირითად გადაწყვეტილებას დანარჩენ დამფუძნებლებთან და მენეჯმენტთან შეთანხმებით. კომპანიის მენეჯმენტი შედგება შემდეგი პირებისგან:

დამფუძნებელი, დირექტორი - მალხაზ გოგატიშვილი,

დამფუძნებელი, ფინანსური მენეჯერი - ჯოზა გოგატიშვილი,

დამფუძნებელი, გაყიდვების მენეჯერი - კახაბერ სახამბერიძე

დამფუძნებელი - ხვიჩა ფორჩხიძე (ყოველდღიურ მართვაში არ მონაწილეობს)

მთავარი ბუღალტერი - ლელა მღებრიშვილი

ჩვენი საქმიანობის საგანს წარმოადგენს საქართველოში ელექტრო საქონლის იმპორტი და საბითუმო/საცალო ვაჭრობა თბილისში არსებული ძირითადი ბაზიდან და ელიავას ბაზრობაზე არსებული მალაჩიდან. კომპანია შემოსავალს ასევე იღებს საინვესტიციო საქმიანობიდან. საინვესტიციო ქონებაც მდებარეობს თბილისში, დიღომში და მოიცავს სასაწყობო ფართებსა და მიწას.

აღნიშნული ბაზარი საკმაოდ კონკურენტულია. ძირითადი კონკურენტია სს საქკაბელი, თუმცა ბაზარი გამოირჩევა წერილი მომწოდებლის სიმრავლით, რომლებსაც ჯამში ბაზრის საკმაოდ მაღალი წილი უჭირავთ. ზუსტი ინფორმაცია საბაზრო წილების შესახებ არ არის ცნობილი, თუმცა ჩვენ კომპანიას საკმაოდ მყარი პოზიცია უკავია ბაზარზე.

ჩვენი ძირითადი კონკურენტული უპირატესობა არის მაღალი ხარისხის პროდუქცია და მომხმარებელზე ორიენტირებულობა. ჩვენ მომხმარებელს ვთავაზობთ მხოლოდ სერტიფიცირებულ საქონელს კლიენტისთვის მისაღებ ფასად.

2017 წელს ჩვენ პროდუქციას მივაწოდეთ 8390 მომხმარებელს, ძირითადი მყიდველები არიან სამშენებლო კომპანიები და მსხვილი საწარმოები. ამათგან გაყიდვების ყველაზე დიდი მოცულობამ შეადგინა:

შპს ქსელმშენი	590 124.70
სს თელასი	807 343.40
შპს ხუასინის სამშენებლო კომპანია	803 568.70
შპს ელექტრო სერვის ჯგუფი	868 220.52

სულ 2017 წლის გაყიდვებმა შეადგინა 21'579'691 ლარი.

ჩვენ მომხმარებლებს ვამარაგებთ 3'400-მდე დასახელების პროდუქციით. ძირითად პროდუქციას წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის კაბელები და სადენები. ძირითადი სასაქონლო ასორტიმენტი შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე www.eleqtroni.ge.

ელექტრო საქონლით ვაჭრობა არ არის კანონმდებლობით რეგულირებული.

ელექტრო საქონლის ბაზარი ხასიათდება სეზონურობით, კერძოდ ზამთრის ვაჭრობა მცირდება 20%, თუმცა 2018 წელს, კრიპტოვალუტის პოპულარიზაციის ზრდამ გამოიწვია სეზონური ეფექტის თითქმის განულება.

ჩვენ ვგეგმავთ პროდუქციის კიდევ უფრო დივერსიფიკაციას და გვინდა მომხმარებლებს დამატებით შევთავაზოთ საყოფაცხოვრებო განათების სისტემები და საინვესტიციო ქონების განვითარება საწყობების მშენებლობის სახით.

ჩვენ ძირითად საქმიანობას სრულად ვაფინანსებს საკუთარი კაპიტალით. 2017 წელს სს პროგრედიტ ბანკისგან მიღებული კრედიტით დაფინანსდა საინვესტიციო ქონების შეძენა. საინვესტიციო ქონების შეძენამ დროებით გააურესა კომპანიის საქმიანობის 2017 წლის ზოგიერთი მაჩვენებელი 2016 წელთან შედარებით, მაგრამ აღნიშნული მაჩვენებლები 2018 წელს მიმდინარე პერიოდისთვის უკვე გაუმჯობესებულია.

ჩვენი ძირითადი მომწოდებლები არიან თურქული და ჩინური კომპანიები, რომლებსგანაც ვიძენთ მხოლოდ სერტიფიცირებულ პროდუქციას. ასევე მცირე რაოდენობის პროდუქციის იმპორტს ვახორციელებთ უკრაინიდან და რუსეთიდან.

ჩვენ ოპერაციებს ვახორციელებთ სათავო ოფისის და მემშვეობით, არ გაგვაჩნია ფილიალები და ახლო მომავალშიც არ ვგეგმავთ არსებული მოდელის შეცვლას. ჩვენთან დასაქმებულია 25 ადამიანი.

მოხარულები ვართ წარმოგიდგინოთ 2016-2017 წლის ფინანსური კოეფიციენტები, საიდანაც უფრო მარტივი დასანახია ჩვენი წარმატებები და მომავალი სამუშაო მიმართულებები:

#	მაჩვენებელი	2017 წელი	2016 წელი
1	მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი	2.42	3.52
2	აქტივების კაპიტალთან ფარდობა	1.89	1.26
3	საოპერაციო მოგების ნორმა	0.65	0.77
4	წმინდა მოგების ნორმა	0.13	0.16
5	სააქციო კაპიტალის შემოს. კოეფიციენტი ROE	0.22	0.45
6	მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	5.17	34.51

ჩვენ საქონლის ნაწილს მომხმარებლებს ვაწვდით კონსიგნაციით, ინდივიდუალური პირობებით სხვადასხვა მომხმარებლისთვის. შესაბამისად, ჩვენ საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკს წარმოადგენს დებიტორის მიერ დავალიანების არ გადახდა. ამ რისკის კომპანიის საქმიანობაზე ზემოქმედების მასშტაბები ჩვენს მიერ გაანალიზებულია და მისი შემცირებისთვის გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები - ხდება თითოეული მომხმარებლის ფინანსური შესძლებლობების შესწავლა, გადაწყვეტილების მიღება საქონლის მიწოდებასა და კონსიგნაციის პირობებთან დაკავშირებით ხდება ამ შესწავლის საფუძველზე.



დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს ელექტრონის მმართველობითი ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს ელექტრონის 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს ელექტრონის მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს ელექტრონი. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე

საწარმოს ვალდებულებაა მმართველობის ანგარიშგების მოამზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობითი ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი ჩვენი მოსაზრების გამოსატქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

მართვის საკონსულტაციო ჯგუფი



თამარ მერმანშვილი

მმართველი პარტნიორი

2018 წელი, თბილისი, საქართველო

